შპს "აგრონომი"

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 17 სექტემბერი

შპს ,,აგრონომი"

სარჩევი :

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
სრული შემოსავლების ანგარიშგება 6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

განმარტებითი შენიშვნები:

1. შესავალი 9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო 9
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები დაშეფასებები 17
5. ძირითადი საშუალებები 18
6. არამატერიალური აქტივები
7. სასაქონლო მატერიალურიმარაგები 19
8. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან 19
9.ფული და ფულის ეკვივალენტები 20
10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 20
11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 20
12. შემოსავალი 20
13.მოგების გადასახადები 20
14.პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები 21
15.ფინანსური რისკის მართვა 22
16.ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 22

შ.პ.ს „ბიურო აუდიტი
„BEREAU AUDIT" LTD
ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს №41;
მობ.: 877 79 80 90; 897 79 80 90
ელ-ფოსტა: k.ch.1965@mail.ru
41 giorgi brcshinvale str. Tbilisi, Georgia
mob.: 877 79 80 90; 897 79 80 90
E-mail: k.ch.1965@mail.ru

სერთიფიკატი Z №5/461 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ
Certificate Z №5/461 issued by the Auditing Council existing to the Georgian Parliament

*ბუღალტრული არრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახურის **2016** წლის 22 დეკემბრის №394 ბრძანებით რეგისტრირებულია აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგრონომის" პარტნიორებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აგრონომის" (შემდგომში „კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან (შემდგომში - „ფინანსურიანგარიშგება").

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2020 წლის 4მაისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2018 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლისშესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არგამოვთქვამთ.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, იმ გარემოებაზე, რომ გლობალური პანდემიისა და ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო სიტუაციის გამო, კომპანიას ფუნქციონირება არ შეუჩერებია, ანალიზი ცხადყოფს, რომ 2020 წლის იანვარ-აგვისტოში მიღებული შემოსავალი (9 029 110,0 ლარი - არაუდირებული), გასული წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლთან (7 553 065,0 ლარი) შედარებით გაზრდილია 19,54%-ით. ეს მოვლენა მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე საწარმოს მომავალი ფუნქციონირების თაობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ

მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლისიგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლისეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებებისმართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია კახა ჭკუასელი (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-577437)

შპს აუდიტორული ფირმა „ბიურო აუდიტი " (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-164419)

აუდიტორი კახა ჭკუასელი

ქ. თბილისი. 17 სექტემბერი 2020 წელი

შპს ,,აგრონომი" ს/ნ 200265319

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	32405	56638	60941
სავაჭრო მოთხოვნები	978446	1145657	6296504
გადახდილი ავანსები	544584	366587	1176688
მარაგები	2420845	1806553	1318851
მზა პროდუქცია	2391732	1787836	1318851
სხვა	29113	18717	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	3041	11710
სხვა არამატერიალური აქტივები	50958	36364	23720
ძირითადი საშუალებები	1318845	935207	852266
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	**5346083**	**4350047**	**9740680**
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	350671	247688	426781
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3674	0	12599
საგადასახადო ვალდებულებები	36707	664	17812
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	5660442
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1452091	384339	237111
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	287950	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	**2131093**	**632691**	**6354745**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	757674	718824	2512986
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2457316	2998532	872949
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	**3214990**	**3717356**	**3385935**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**5346083**	**4350047**	**9740680**

დირექტორი :
ქრისტინა გოგმეჩაძე

მთ.ბუღალტერი:
ცაცა მეტრეველი

შპს ,,აგრონომი" ს/ნ 200265319

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	8608385	12374862
საქონლის გაყიდვიდან	8570961	12233907
მომსახურების გაწევიდან	37424	140955
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-6774224	-8717086
საწყისი მარაგები	-1806553	-1318851
მარაგების შესყიდვა	-7388516	-9204788
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	2420845	1806553
საერთო მოგება	1834161	3657776
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1227442	-996006
ცვეთა და ამორტიზაცია	-110457	-83366
საპროცენტო შემოსავალი:	0	7827
საპროცენტო ხარჯი :	-92883	-71768
იჯარის ხარჯი	-112976	-129155
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	-389371
სულ საოპერაციო ხარჯები	-1543758	-1661839
საოპერაციო მოგება	290403	1995937
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-339606	80931
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-492013	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-541216	2076868
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	-541216	2076868
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-541216	2076868
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	3717356	3385935
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	38850	-1745447
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3214990	3717356

დირექტორი : ქრისტინა გოგმეჩაძე

მთ. ბუღალტერი: ცაცა მეტრეველი

შპს „აგრონომი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2512986	872949	**3385935**
წლის მოგება		2,125,583	
კაპიტალის შემცირება	-1,794,162		
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	**718,824**	**2,998,532**	**3,717,356**
წლის მოგება		-541,216	
კაპიტალის ზრდა	38,850		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**757,674**	**2,457,316**	**3,214,990**

დირექტორი : ქრისტინა გოგმეჩაძე

მთ. ბუღალტერი: ცაცა მეტრეველი

შპ ,,აგრონომი" ს/ნ 200265319

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში)

	2019	2018
წმინდაფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**892331**	144938
ფულადი სახსრები საქონლის მიწოდებიდან/გაწეული მომსახურეობიდან	8698666	11428937
გადახდილი მომწოდებლებზე	-6191182	-9621573
გადახდილი ხელფასები	-1 227 442	-996006
გადახდილი გადასახადები	-387711	-315692
საოპერაციო ხარჯები		-350728
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-484075**	**-158404**
ძირითადი საშუალებები შეძენა	-484075	-158404
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**-92883**	**-71768**
საპროცენტო ხარჯები	-92883	-71768
სავალუტო კურსის ეფექტი	**-339606**	**80931**
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-339606	80931
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**-24233**	**-4303**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**56638**	**60941**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**32405**	**56638**

დირექტორი : ქრისტინა გოგმეჩაძე

მთ. ბუღალტერი: ცაცა მეტრეველი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანიას სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2008 წლის 06 ივნისს, შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 200265319

საწარმოს დამფუძნებელი-პარტნიორია ფიზიკური პირი:

თამაზ ჩადუნელი (პ№01027051901) - წილი - 100%

საწარმოს დირექტორია - ქრისტინა გოგმეჩაძე (პ№37001045860)

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიური (შხამ-ქიმიკატები, სასუქები, ჰერბიციდები და სხვა) საშუალებების, ასევ სოფლის მეურნეობის მცირე ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია საქართველოში, სავაჭრო მაღაზიები განთავსებულია, ქ. თბილისი, ქ. ზესტაფონი, საგარეჯო, ბოლნისი და თელავი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდასთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არისშემდეგი:

	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
USD/GEL	2.8677	2.6766
EUR/GEL	3.2095	3.0701

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე ასევე სამართლებრივ მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი

პრინციპები მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული. მენეჯმენტმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგება განგრძობითი საწარმოსსაფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.
2019 წლის 31 დეკემბრისთვისკომპანიის მიმდინარე აქტივები (5 346 083 ლარი) 3 214 990 ლარით აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს (2 131 093 ლარი).

კომპანიას 2019 წელი დასრულებული აქვს ზარალით - 541 216 ლარი; თუმცა 2018 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული აქვს მოგება 2 076 868 ლარი, კომპანიის ზარალიანობის ძირითადი მიზეზი არის სავალუტო ბაზარზე კურსების არასტაბილურობა, რაც კომპანიას ურთულებს უცხოელ პარტნიორებთან ანგარისსწორებას, ხოლო ქვეყნის შიდა ბაზარზე საქონლის გაძვირება მნიშვნელოვანწილად არ ხდება

კომპანიას მიმდინარე წლის საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები,საშუალებას აძლევს დაფაროს მიმდინარე ვალდებულები და აანაზღაუროს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები.გარდა ამისამიმდინარე ეტაპზე კომპანიას გააჩნია წინა პერიოდში დაგროვილი საკმარისი ფინანსური რესურსი, რომელიც 2019 წლის მონაცემების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს 2020 წლის დარჩენილი პერიოდის ხარჯების დაფარვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების კომბინაციაკომპანიისთვის უზრუნველყოფს აუცილებელ ლიკვიდურობას, თავისი ოპერაციების გასაგრძელებლად 2020 წლის შემდგომ პერიოდშიც.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი საზომი პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.
რეალური ღირებულება არის ის თანხა რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების

ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე თუკი თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად რომლებისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს რომელსაც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში შემოსავალში მთლიან აქტივებში ან მთლიანვალდებლებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი რომელიც არ გაიწეოდა ტრანზაქცია რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით) მრჩევლის ბროკერის და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულების და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით) ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარეღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროეცნტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპრცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტურმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცხოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით შედის მიმდინარე აქტივებში 12 თვის ზემოთ - გრძელვადიანაქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით ან შეფასების მეთოდით რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა ან რეალიზაცია რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით კერძოდ თარიღით როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულებისმხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც

ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება;

ბ)კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში როდესაც

1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს ან

2) არც გადასცემს მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები") რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის

გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არისმისივადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსურიინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციისვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზეან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

  თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

  გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები იმის მიუახადავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის რეალიზაციამოსალოდნელი.

  თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება) მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება- ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება

12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანიმოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ როდესაც
არსებობს საფუძველი რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცნეტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია ის ჩამოიწერება სავაჭღო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალისანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცველბასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილიჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო ვადა(წელი)
შენობები	20
ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრასპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუოდო ღირებულება რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის საქონლისთვის ფასდათმობის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა

როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები
სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები მოგების გარდა აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციოხარჯებში.
გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს იქიდან გამომდინარე რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარგამოიყენება.
გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლისმიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხებეა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლებისმიერ.

ცვლილებები საწესდებო კაპიტალში

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2 512 986,0 ლარს, ეომელიც შევსებული იყო პარტნიორის ფულადი შენატანით, ხოლო 2018 წლის განმავლობაში პარტნიორის გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალიდან გატანილი იქნა 1 794 162,0 ლარი და საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 718 824,0 ლარი, 2019 წლის განმავლობაში პარტნიორის გადაწყვეტილებით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი (ფულადი შენატანი) 44 850,0 ლარით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შედაგენს - 757 674,0 ლარს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას რომელიც გავლენას ახდენს მოგების ხარჯების აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად

განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილმონაცემებზე.

5. ძირითადი საშუალებები

შპს ,,აგრონომი" ს/ნ 200265319

ძირითადი საშუალებები

დასახელება	31/12/2018				31/12/2019
	ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	ღირებულება
- მიწის ნაკვეთები	7476	25060			32536
- დაუმთავრებელი მშენებლობა	0	49389			49389
შენობები	736469	310012		47841	998640
- ნაგებობები	0	6433		222	6211
- ოფისის აღჭურვილობა	43003	4852	1190	12493	34172
- ავეჯი და სხვა ინვენტარი	46972	33538	9049	15411	56051
- სატრანსპორტო საშუალებები	99932	84902	18247	24470	142117
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1354	2711	4065		0
სულ ძირითადი საშუალებები	**935207**	**516897**	**32551**	**100437**	**1319116**

6. არამატერიალური აქტივები

შპს ,,აგრონომი" ს/ნ 200265319

არამატერიალური აქტივები

დასახელება	ნაშთი 31/12/2018	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა/ამორტიზაცია	ნაშთი 31/12/2019
- პატენტები	26567	21037	0	3680	43924
სხვა არამატერიალური აქტივები	9796	0	0	2763	7034
სულ არამატერიალური აქტივები	**36364**	**21037**	**0**	**6443**	**50958**

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31დეკემბერი 2019	31დეკემბერი 2018
ნედლეული და მასალები	2 391732	1787836
სხვა მარაგები	29113-	18717
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2 420 845	1 806 553

8. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან დამომსახურებიდან

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31დეკემბერი 2019	31დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	978 446	1 145 657
სულ დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	978 446	1 145 657

9. ფული დაფულისეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31დეკემბერი 2019	31დეკემბერი 2018
თანხა სალაროში	3 571	5 888
თანხა ბანკში	28 834	50 750
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	32 405	56 638

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 350 671 ლარს (2018 წელს 247 688 ლარი) და ძირითადად მოიცავს საქონლის მომწოდებელ კომპანიებზე დარიცხულ ვალდებულებებს.
ზემოთ ნახსნები ვალდებულებების პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

11. სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საბანკო დაწესებულებიდან აღებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები	31დეკემბერი 2019	31დეკემბერი 2018
მოკლევადიანი სესხი	1 452 091	384 339
გრძელვადიანი სესხი	287 950	0
სულ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**1 740 041**	**384 339**

12. შემოსავალი

2019 წლის შემოსავალი 8 608 385 ლარის ოდენობით (2018: 12 374 862 ლარი) მოიცავს ამონაგებს საქონლის რეალიზაციიდან და სხვადასხვა მომსახურებიდან

13. მოგების გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.
საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

14. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა
საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას ასევე შესაძლებელია რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა

პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31დეკემბერი: ნული)

15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვისტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოდ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

	31 დეკემბერი -19		31 დეკემბერი -18	
	საბალანსო ღირებულებ,	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	32 405	32 405	56 638	56 638
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	978 446	978 446	1 145 657	1 145 657
ვალდებულებები წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	350 671	350 671	247 688	247 688

ხელმომწერი პირები:

ქრისტინა გოგმეჩაძე

დირექტორი

ცაცა მეტრეველი

ბუღალტერი